



№ 36

წ. 11

წელიურად 5 მ., ნახევარ წელი 3 მ., კალკულაციონური 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სტრასანის“ სტამბაში. მისამართი: **თიფლისი**, რედ. „Театри და Цховреба“ I. იმედაშვილი

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საკუთრების მფლობელთაგან უნდა იქნებოდეს. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სტრასანის“ სტამბის კანტინაში — დღით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 36

კ ვ ი რ ა 9 გ ი ო რ გ ო ბ ი ს ო ვ ე

1914 წ.

9 გიორგობისთვე

თვითმოქმედება.

დრამ. სპ. წლიურ კრების ხსენებაზე ბევრი ისეთი რამ ითქვა და გამოაშკარავდა, რომ გამგებთ, ძალა უნებურად წამოიძახებდით: „ვიც, სირცხვილო, საღლა არის შენი სიწითლე!“

სხვა მრავალ საქმეთა შორის დიდი კამათი გამოიწვია დასისა და გამგებობის ურთიერთობაში: ახალმა დასმა დათხოვნა „დაიშასხურა“, გამგებობამ ნდობის გამოცხადება და თითქმის ყოველივე თავის კალაპოტში ჩადგა. ეს ბუნებრივიც არის: ყველამ თვისი საქმე უნდა აკეთოს. თვითმოქმედება, საქმის საკუთარი ძალდონით წარმოება, — აი რა უნდა იყოს ჩვენი დევიზი ყოველგვარ საქმეში. სხვისა ხელთ შეყურებას რომ არივისთენ მოუტანია სარგებლობა, ეს ცხადზე უცხადესი ქეშმარიტებაა: გვწოდებს, რომ მხოლოდ თვითმოქმედება მოგვანიჭებს უკეთესს მომავალს.

გამგებობის სიცოცხლის მთავარი ძარღვი დღემდე სეზონის წარმოება იყო, დღეიდან კი სხვა ასპარეზი ეშლება: სათეატრო სკოლის დაარსება, დრამატულ ლიტერატურის გამო-

ცემა, ტანისამოსისა და სხვა სახელსაწყობა შექმნა, დრამ. დასის ხელისშეწყობა, ქართულ თეატრის შენობის აშენებაზე მუდმივი ზრუნვა და სხ., — აი რა უნდა შეუდგეს გამგებობა, თუ მართლა სიცოცხლე ჰსურს და მომავალს შესტრფის.

ასევე დასის საქმეც: გარემოებამ დიდი როლი აკისრა მას, უფრო ცოცხალი საქმე — იმდღელმსახურს ქართულ ხელოვნების წარსამატებლად არა მალღ ფარღიან „სიტყვებით“, არამედ ხელოვნურად დაღმულ წარმოდგენებით, და მით ჰსწურთნოს ქართველი ხალხის გრძობა-გონება, ირგვლივ უშუქი ჰფინოს. მაგრამ ესეც უნდა იცოდეს, რომ მხოლოდ იგი ანათებს და ათბობს, რაც იწვის, რაშიაც ცეცხლი ღვივის. თუ ახალ დასს ძალა აქვს — ამაში კი ეჭვი არ გვეზადება — ახლა უნდა გამოიჩინოს იგი შეთანხმებულის, სიყვარულით აღსავსე მუშაობით. ამით იგი თავს უმეტესად ისახელებს და სამშობლო სცენასაც სარგებლობას მოუტანს.

ამ რწმენით ვუსურვებთ გამარჯვებას მსახიობთა ამხანაგობას თავისს ახალ ნაბიჯში.

მონობიდან განთავისუფლება

(ბატონ-ყმობის მოსპობა 1864 წ. 8. გიორგობისთვეს)

„მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბოროტის ხმა მტკრუნვის, სიმართლის ხმა ქვეყნად ჰქუეს, დასათურგენად მონობისა! აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა და აღმიგნებს იმედს გულში: დღერთო, დღერთო! ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში!“

ილია ჭავჭავაძე

ამ სიტყვებით შეშაროდა ნახევარი საუკუნის წინად სულმნათი დიდი ილია ბატონ-ყმობის გადავარდანას რუსეთში, რომლის

მოსპობის მანიფესტი ჩვენში გამოცხადდა 1864 წ. 8 გიორგობისთვეს.

ძირიდან, ხალხში დაწყებულმა ჩოჩქოლომა, მუდმივმა მღურვა-უკაყოფილებამ, უსაზარღეს წყობილებას — ადამიანისაგან ადამიანის დამონების — მოსპობის სურღილმა იმდენად იძატა, რომ მეფე ალექსანდრე განმათავისუფლებელმა 1861 წ. 19 თებერღვალს გამოცა უმღლღესი მანიფესტი, რომლიდაც გღეხი. მანამღე მონად ყოღილი, კაცად არ ცნობილი, ადამიანად, უფღლება-ამოსილ მოქალაქედ იქწნა აღიარებღული.

ამ აზრის მოსამწიფებლად და ცხოვრებ-
ში გასატარებლად ვეროპ-ს გარდა, რუსეთ-
შიც ბევრი სეუკეთესო აღამიანი იბრძოდა,
ხოლო ჩვენში მისი მოციქულნი იყვნენ და-
წილ ქონქაძე, ილია ქვეციანი, აკაკი და სხ.,
რომელთაც წყურლობით თუ პირადის ქადაგე-
ბით ქვეყანა მოაზნადეს ახალის ცვლილების
მოსახდენად.

ბატონ-ყმობის მოპობის მანფესტაჲ,
როგორც ვთქვით, ჩვენს ქვეყანას მხოლოდ
ოთხის წლის შემდეგ უწია და როდესაც მე-
ფის მოადგილის დიდის მთავრის მიხედვით ნი-
კოლოზის ძის განკარგულებით 1864 წ. 8
ნოემბერს გამოცხადდა, ჩვენი გაბატონებული
წოდების დღეა უმეტესობაში თითქმის არც-
იწმუნა: სანამ მამა ნზე (ერისთავი) ცოცხალ-
ია, ჩვენ ყმებს ვერვინ ჩ მოგვართმევსო,—გა-
იძახოდა მათის შეგნების გამომხატველი განე-
ბიერებული კნეინა!

მაგრამ რაც ისტორიის მსჯავრება გადასწყ-
ვიტა, შესრულდა კიდევ, შესრულდა მხო-
ლოდ სანახევროდ.

უმიწაწყლოდ განთავი უფლებებული გლე-
ხობა ისევე მონად დარჩა: ნივთიერ შეძლებას
მოკლებული, ნიდაგ სახსრის მოპოების
უღელში ჩაბმული, ათასგვარ ხარჯ-ბეგარის
მზიდველი გლეხობა დღესაც მონაა,—მონა
უფიცობისა, გონებრივი სიზნელისა და სიღუბ-
ეობისა!.. დღე ხალხის თავისუფლებისა და მისი
სრულ აღამიანად ცნობისა ჯერ კიდევ არ
გათენებულა.

მიუხედავად ამისა, განვილომა ნახევარმა
საუკუნემ პირადობის ყმობა-მონობისაგან
გლეხობის განთავისუფლებით ჩვენი ქვეყანა
მანც წინ წასწია: ერთის მხრით თუ თავად-
აზნაურთა შეიღნი, მანამდე თითქმის ღარ-
საბ-თათკარიძებდა და დარჯენებად გადაქცე-
ულნი; მხოლოდ სხვის ნაოფლარით—გლეხის
ნაშრომით—იჩნენდნ თავს, თვით კი უზ-
რუნველობის მორვეში ეფლობოდნ, ბატონ-
ყმობის გადავარდნის შემდეგ თვითმოქმედების
გზას შეუდგენენ, მეორეს მხრივ—ბატონის ყმო-
ბი აგან განთავისუფლებული გლეხიც რაოდე-
ნათმე ჩაება ვაქრობა-მრეწველობა, ხელოს-
ნობისა და სხვა საქმეში. გლეხი თანდათან
წელში იშლება, თვითცნობიერდება, ერთი წო-

დების მაგიერ მთელი ხალხი გამოდის-
რომ დასცეს ის ბატონყმობა, რომლის არსე-
ბობით—ერთი არ ერობს, კაცო არ ეკცობს.

და ეს დრო არც ისე შორსაა!

უკვე ერთხელ უღელშეებული ხალხი ვე-
ლარ შეურიგდება მოწიბას, და რადენად აღ-
რე გათვითცნობიერდება, შეიგნებს თვის
ვინაობას, იმდენად უფრო აღრე მიახწევს იგი
გულის საწადელს.

თუკი მოძრაობა, თანდათან განვითარება—
ეგოლოკია ბუნებისა და ცხოვრების კანონ-
ია, მაშ ამ საერთო კანონს ვერც ჩვენ
უგულვებღვყოფო და უნდა ღრმად გვწამ-
დეს, რომ პირველ სფენურს მეორე მოჰყე-
ბა,—ეს არის ისტორიის ლოლიკური დასკვნა.

ნახევარი საუკუნის წინად თუ პიროვნული
ბატონყმობის მოსპობა მოიხზოვა ცხოვრებამ
და მისი ბორკილები მეფე—განმანთავისუფლე-
ბელმა დაამსხვრია, რითაც რუსეთის გლეხს
მძიმე უღელი მოაშორა, დღეს ეროვნული ბა-
ტონყმობა უნდა შეიმუქროს და ყოველ ჩავე-
რულ, დგენულ ეროვნებას თავისუფლება მი-
ენიქის თავის შინაგან ცხოვრების სამართ-
ველათ!

აღის ნიშნები უკვე სჩანს და გვწამს, რომ
ძველი საქართველოს ნანგრევებზე ახალი სა-
ქართველო აღორძინდება...

ჩვენ ისღა დავგრჩენია მადლ-ობით მო-
ვისხენიოთ ყველა ისინი, რომელთაც ამ ნა-
ხევარი საუკუნის წინად ხელი შეუწყეს ბა-
ტონყმობის მოსპობას, ხოლო დღეს ვისურვოთ,
რომ ეროვნული ბატონყმობის მოსპობის ხმა
უფრო მძლავრად განისმას მოსპოს ერთის
ერისაგან მეორის ჩაგვრა...

იოსებ არიშითელი

მ ი ე ზ ა

ჩემო ვარსკვლავო! ნუ თუ შენამდე
ვერ აღწევს ჩემი მომართვის ხმები?..

ნუ თუ მსოფლიოს აუხსნელ კითხვას
ვერც მე შევიცნობ, ვერც მე მაგწვდები?..

ნუ თუ ცხოვრების მობინდულ ცაზე
მუდმივ ძიების საგნად დარჩები
და ამ წყურვილით ამ საშიშ გზაზე
მეც სხვებთან ერთად დავიღუპები?...



მ ო ზ ა ი კ ა

ეტიუდი:

„უმაღლესი გრძნობა გრძნობათაგან—მწუხარებაა, უმწვენიერესი სიმღერა—ჩივილია, უწმინდესი—კრემლია.“

ტეტმაიერი.

ელვის სისწრაფით ომი მოელო მთელს სამშობლოს. არ დარჩენილა აქ ისეთი კუთხე, რომ მას დაუბატოვებელ სტუმარივით არ სწვევიყო. ემზადებიან საომრად მოხუცნიც, ახალგაზრდანიც განურჩევლად; რადგან სწყდება სამშობლოს ბედ-იღბალი.

ემზადება ჯარში გასასვლელად 21-ის წლის ტიტოც. მას არ ჰშორდება ახალგაზრდა ცოლი, შავ-თვალა ელისო, რომელსაც მწუხარების ნიშნად გაუწვეწია გიშრის თემბით მუცა მის ღრმა თვალეზშიარ მოსჩანს კრემლის კვალიცკი, ეტყობა ნიამც, რომ მედგრად ითმენს და წმიდა მწუხარებას ღრმად ჰფლავს თვის ნორჩ გულში...

იმწუხრე, გულო, იმწუხრე: უმაღლესი გრძნობა გრძნობათაგან ხომ მწუხარებაა!

„...ღმერთო, რა შეგკოდე, ეგზომ დიდი რა გაწყინე, რად შემასწარა ამა ბედსა, რა სასჯელი მომიგლინეს! გამკითხველო, გამკითხველო, აჯა ჩემი შეისმინე, დაამოკლენ დღენი ჩემნი, ჰირნი ამით გამიღბნენ!“—გაიძახის ავთანდილი და დაეძებს გულის ფანქვლით ტარეის, მაშინ, როდესაც ვეფხის ტყაოსანი, ძმა მისი, ცნობა-მიხილილი გადასწოლია უსულო ვეფხს მოკლულ ღოგის და სისხლ-მოცხებულ ხმლის გვერდით...

იჩივლე, გმირო, იჩივლე: უმწვენიერესი სიმღერა ხომ ჩივილია!

აგერ ხუთი წელიწადია ოთხმოცის წლის სოლომონმა დაჰკარგა სრულიად უდანაშაულო ვაჟ-კაცი-შვილი, სოფლის მარგალიტი და ტრთად-ერთი იმედი ოჯახისა. გულ-მტკიცედ მოუსმენია მოხუცს სასამართლოს განაჩენი, შვილის სამუდამოდ გადასახლების შესახებ, წარბიცი არ შეჰკვრია. მაგრამ, როდესაც მას გადაეხვია მოულოდნელად განთავისუფლებული და სახლში დაბრუნებული შვილი, მოხუცს აუტოკდა გული განგების სამართლიანობისაგან და ხელიცკი არ შეუნძრევია კრემლების გასაშრობად.

იტირე; მოხუცო, იტირე: უწმინდესი გრძნობა ხომ კრემლია!

ავ. ხოსოვიძე



ინგლისის და გერმანიის გემების შეტაკება

ცოდვამ უწიათ ჭი!..

(უებირსიტყვაობა)

რაჰის მახრის სოფელ ზვარეთშა სცხოვრობდა ერთი მეტად ზვიადი და ამაყი კაცი ისე კირვლიძე, რომელიც შიშის ზარსა სცემდა მცხოვრებლებს.

ვისგან მოიხვეჭა ასეთი ძლიერება ისე კირვლიძემ?

ვისაც გაუგონია ან წაუტოხხავს დიდი როსტომ ერისთვის ისტორია, მას არ გაუკვირდება ისე კირვლიძის ძლიერება, რადგან ისე კირვლიძე მისი პირველ ხარისხოვანი მოურავი ყოფილა. ხალხის გადმოცემით ისე კირვლიძის ოჯახიდან: „თორმეტი ძუა-ფაფარ შეღებილი ცხენი გამოდიოდა და თორმეტი ჩადრ-დახურული ქალი ჯდებოდა ზედაო.“ ეს გარდმოცემა მართალიც უნდა იყოს, მით უფრო, რომ ცნობილია როსტომ ერისთავმა რჯული შეიცვალა და თავისი ცხოვრება თათრულ გემოზე მოაწყო. ისე კირვლიძეც როგორც მოურავი, თავის ბატონს არ ჩამორჩებოდა. ისეს ყაყა ჰყოლია, ჰქონია დიდი ადგილ-მამული და ყმებიც, მიუხედავად იმისა რომ თვითონ გლეხი იყო.

* ბევრი გასაუკარი ამბავია ჩვენს ხალხში დარჩენილი. მათი შეკრება და გამოშვებულება, სამწუხაროდ, კუს ნაბიჯით მიდის წინას. სურველია, ძველი გადმოცემანი, უებირსიტყვაობად დარჩენილი ამბავნი, ისეთნი, რომელნიც, ჯერ არ დაბეჭდილა, მოგვაწოდონ.

რედ.



დღეს იასეს ნამოსახლზე ექვსი გლენი სცხოვრობს. იასეს მემკვიდრეებმა (ნაშიერმა) რომ ყმა გაათავისუფლეს ადგილის შესყიდვით, მე თვითონ მახსოვს.

იასე და მისი ძმა თურმე გაშორდნენ ერთმანეთს. ყველაფერი საცხოვრებელი გაიყვეს. საზიაროთ დარჩათ მხოლოდ ერთი ხაბაზი, რომელიც ხან ერთს უცხოდა პურს დახან მეორეს.

ერთხელ იასესა და მის ძმას სტუმრები ეწვივნენ. შეიქმნა მზადება რასაკვირველია, პურის გამოცხოვაც დარისპიროეს. ორივე ძმა უბძანებდა ხაბაზს: არა ჩემთვის უმალ გამოაცხე და არა ჩემთვისაო! ძმებს ჩხუბი მოუვიდათ და კინალამ ერთმანეთი ამოხოცეს. ვაფთრებული იასე ეკევთა ხაბაზს, დაარტყა ხმალი, გაჩეხა შუაზე და ნახევარი გადაუღდო ძმას. ამ ამბავმა მთელი სოფელი შეაძრწუნა, მაგრამ ვინ რას გაბედავდა მოკლული ხაბაზი იასემავე დაამარხვნა კარის ეკლესიის გალა-

ვანში. (მუხის ფიცრების ეკლესიის ნანგრევებზე) იასეს ნამოსახლზე მე თვითონ მინახავს).

იასესა და მისი ძმის შთამომავალნი (ნაშიერი) დღესაცა სცხოვრობენ ს. ზვარეთში, მაგრამ თავისი წინაპრების აჩრდილიც აღარ არიან: ზოგი მათგანი ერთგვარი ავადმყოფობით არის შეპურობილი: შეღამდება თუ არა, თვალთ ველარასა ხედავენ. ერთი მათგანი რუსეთ-იაპონიის ომში კკუაზე შეირყა, რომლის მდგომარეობა მეტად გულსაკლავია. ყველა ეს მიზეზები ხალხის აზრით ვითომცა აწინაპრების ცოდვამ უწყიათ. ამას ერთვის კიდევ შემდეგი ვარემოებაც: იასეს ნამოსახლზე წინად გამოჩნხუხუბებდა ცივი ანკარა წყარო. ეს წყარო დაშრა, სრულიად მოისპო. ყოველივე ეს, ხალხის რწმენით, იასე კირვალისა და მისი ძმის ცოდვის ბრალია, რაზედაც გაიძახიან:

- «ცოდვამ უწყიათ ქი, ცოდვა შევილი შევილზე გადადისო!»

3. კირვალიძე



დ ი ქ ც ი ა

სუნთქვა

როცა მსახიობი სმის განვითარების სწავლათს, საჭიროა აგრედეე სუნთქვის შესწავლაც. პირველის შესედეით აღმანი იფიქრებს: რადგან სუნთქვა ბუნებრივი მოქმედებაა, ამის რადეა სწავლა უნდა, ხელოვნებას აქ რა ადგილი უნდა ქქონდესო.

ეს ასე არ არის. ბეგრმა, ძალეან ბეგრმა არ იცან სეირანი სუნთქვა. თუ რა მნიშვნელობა აქვს სუნთქვას ჟანბნოელობისათვის, ეს სხედალისტებმა იღაზარაკან. ჩვენ გეინდა მხოლოდ განუმარტოთ ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს და როგორ უნდა კათხეის დროს სულის მობრუნება.

კარგად კათხევა ან იქმა მონალოგისა, ლექსისა და საერთად ღაზარაკე მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდე სდე სულის მობრუნება კარგად ეიცოთ.

სუნთქვის კარგა ცოდნა ზოგს ბუნებათვე აქვს დეულოდიო— ე. ი. ბატარეები რო იეუნენ, მასწავლებლები თუ მშობლები ასწავლიდენ, მაგ-

რამ ამისთანა მაგალითი ძალეან, ძალეან ცოტაა, რადგან, საშუხაროდ, მეტი წალი მშობლებისა მას ეურს არ უედეეს.

მსახიობისათვის და ორატორისათვის უფრო მეტად არის საჭირო სუნთქვის კარგა ცოდნა. ეიდრე სხვა ვისთვისე.

როცა ვსუნთქავთ, ქვერა ფილტვებში ნესტობეიდან შედის და შემდეგ ნესტობეიდანევე კამოდის მუდევე ერთგვარად.

ამნიარი მამოსევა ქვერისა განა სეკმარი-სა, რომ სმის სიმები ავამუშავოთ?—არა.

ზიანის ვერ ავანშოვნებთ, თუ ძვალზე თითს ოდნე დევადეეთ. საჭიროა ძვალზე თითა დონიორად დევარტეათ, რომ ჩაქეხი აიწეოს, სიმს მოქსედეეს და ახმეიდანეს; ასევე საჭიროა ქვერა დონიორად აწეეობდეეს სმის აზარატს, რომ ამ უკანასკნელმა მუშაობა დაიწეოს.

ვისდე, ჩვენში, უნახავს როგორ უგრევენ მესტეირენი სტეირს, იმან იცან, რომ თუ ზ-



ტარს ტიპკორანში ჭკერი სკამარისად არ არის, სტვირი ვერ იმუშავებს. თუ შესტვირე ტიპკორანს მკლავით არ დაწვება, სტვირი არც მასშინ ამოაღებს ხმას.

ჩვენ ვაგროვებთ ჭკერს ფილტვებში ასე, როგორც შესტვირე აგროვებს ჭკერს ტიპკორანში, და როცა დაზარატი გვსურს ამ მოგროვებულ ჭკერით ვაწვებით ხმის აზარატს; ჭკერის ძალა ამობრუნებს სიმებს და ჰბადავს ხმას, ასოც თუ სიტყვას; რასაკვირველია, ამ უჩანსებელ მოქმედებისათვის უფრო მეტი ჭკერის დახრჯავს საჭირო, ვიდრე ჩვეულებრივ სუნთქვისათვის. მასხადამე ჭკერი, რომელსაც ჩვეულებრივ სუნთქვისათვის ხმარობენ, არ გვეუფთავს იმ ენერჯიისათვის, რომელიც სიტყვის შესაქმნელად არის საჭირო, თუ ზედმეტი ჭკერი არ მოვიხმარებთ; ჩვენც სწორედ ესე ვხრჯავთ, როცა ვლანანავთ.

შესტვირეც სწორედ ასე სხადის.

დაგვაკადვება თუ არა ჭკერი, ხელახლად შევისუნთქავთ ხოლმე.

შესტვირეც, ჭკერი დაკადვება თუ არა, ხელახლად ჩაჭებრავს ტიპკორანს.

სამწუხაროდ, არ ვიცით ეს შესუნთქვა და შესუნთქებულ ჭკერის მოხმარება (ანუ როგორც ამას იქით ვიხმარებთ) **გამოსუნთქვა**.

აქედან ვხედავთ, რომ **სუნთქვა** ორ სხვა და სხვა მოქმედებისაგან შესდგება: ზირველი — **შესუნთქვა** ე. ი. ჭკერის მოგროვება და მეორე — **გამოსუნთქვა** ანუ შესუნთქულ ჭკერის დახრჯვა, მოხმარება.

ახლა ვნახოთ რაში გამთახტება ერთიან და მეორეც, ან როგორ შეიძლება მათი შესწავლა. ზირველი მოქმედება, ე. ი. შესუნთქვა მდგომარეობს ჭკერის ბლამად მოგროვებაში, ე. ი. ფილტვებში ჭკერი ბლამად უნდა ჩავუყენოთ, თუ ჩვენ ცოტა შევისუნთქეთ, ასე რომ გავივსეთ მხოლოდ ქვემო ნაწილი ფილტვებისა, ეს სეზადი არ გვეუფთავს, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენი მადანის ჭკერით ერთ შესამეღათ ავსება; ასეთ შემთხვევაში ის მოხდება, რომ ჭკერი მალე დაგვეხრჯება, გამოგვეღვება და თუ — ჩვენ დასამწუხაროთ სლანანავთ ბუბრი გვაქვს, იგივე დაგვემარტება, რაც იმ დაქმანის დაქმანობა უწყლო უდაბლობაში რომ წავიდა და თან დასალევი წყალი სავარისად არ წაიღო.

ჭკერი დაგვაკადვება, წამდაწყვი ხელახლად უნდა შევისუნთქოთ და ესეი ძალიან დასლადავთ როგორც ჩვენთვის, ისე მსმენელისათვის. მასხადამე, ზირველი მოვალეობა მსახიობისა, ორატორისა, დექტორისა ის არის, რომ სხანამ დაზარანს ან კითხვას დააწვებდეს, კარვად შეისუნთქოს; ჭკერით ფილტვები კარვად გავსოს!

ახე შესტვირეს დაკვირდით: მინამ დაგვრანს დაწვებდეს, ტიპკორანს რა როვად ვაყვებს ხოლმე ჭკერით, — ჩვენც ასე უნდა მოვიქნეთ.

შემდეგ იწვება მეორე მოქმედება — **გამოსუნთქვა**, ე. ი. მოგროვებულ ჭკერის დახრჯვა. ეს მოქმედება ზირველზე გარდავებით ძნელია, მისხობა ამ მოქმედებას უფრო მეტის უურადვებით უნდა მოეპარას.

ცოდა მისხობა ცოტას შეისუნთქავს და ბუბრს გამოსუნთქავს ისე ვართმადა, უსომოთ, უჩვანომოთ, უწესრიგოთ; მოგროვებულ ჭკერს უბრადვად ჭხრჯავს, იმის მკვირვად, რომ გამომოგვით და ხელოვნურათ დახრჯათ... ამ შემთხვევაში რა მოხდება ხოლმე ის, რასაც უოვედღეე ჭხრჯავთ, რაც უოვედღეე გავსით, რომ მისხობათა და მკითხველათ მომეტებელი ნაწილი იძულებულია შეისუნთქოს თათქმის უოველსვე სიტყვის შემდეგ, მარლათ, უშნოდ სხეისა და თავის თავის დასატანჯავად. კარვს ამისა, ან წამდაწყვი შესუნთქვით მსმენელს ფრანის აზრს უკარვავს და თავის როლსაც აფუქებს; ამისთან მისხობა სავოკადოებს ან მოსწონს. რას იტყვით იმ შესტვირეზე, რომელიც წამდაწყვი ტიპკორანს მბრავს. მოვწონებთ ასეთი შესტვირე? რა მტონია. წარმოვადგინოთ შესტვირე, რომელმაც ტიპკორან ჭკერით სავამად არ გაბურა. ამ შესტვირეს აქვს სთქმელი ან სამღერალი ეს სტრატეგია:

„მის დროს იყო ვეინობა, მეფე ვეინს ჭმორჩილებდა, მკარამ თავის ქვეყნის საქმეს თვის ნებაზე განავებდა.“

(ილია ჰაჭავაძე. „მეფე დიმიტრი თავადლებული“)

შესტვირემ დაწვეო: „მის დროს იყო ვეინობა, მეფე ვეინს ჭმორჩილებდა, მკარამ თავის ქვეყნის საქმეს.“ აქ ჭკერი შემთავლად და ხელახლად ჩაჭებრავს, მერე ისევე იმავე ხმით, ვითომც აქ არაფერიათ, განავრძოთ: „თვის ნებაზე განავებდა.“

„ერთ ჩემს ნაწილს საბერძნეთი არტისტს
ჰქონდა ეს ნაკლი: წამდაუწყებელ შეისუნთქავდა
სოფელს. მიუხედავად იმისა, რომ სისაამოვნო,
ტკბილი ხმა ჰქონდა, მისი უფროსი გლეხი დასა-
ტანჯავი და აუტანელი იყო. შესუნთქვის ხმაუ-
რობა ერთდარს სიმღერაში და ამითა მუსიკის
უოველდღე სიმშვენიერ-სიღამისე აკარგებოდა.
შეიძინა ეს ნაკლი თუ არა, ამ წამსვე შეუდგა
მის განწირვას და ძალიან ცოტა ხანშივე გა-
ისწავლა.“ (ტორლოზი *).

ეს მაგალითი ამტკიცებს იმას, რომ შე-
სუნთქვის და გამოსუნთქვის ანუ სუნთქვის
სწავლა შეიძლება ისევე, როგორც ხმის განვი-
თარების სწავლა, ნაიანოს დაკვრა და სხვა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გიორგი ჯაბადარი



კონსტანტინე გრიგოლის-ძის

შარვაშიძის სსოფნას

ბრძოლის ველზე გალაშქრებული
ომმა იმსხვერპლა გმირი-მხედარი.
მაგრამ ვე მსხვერპლი სისახელოა,
სხივ-ნათელია და არა მკვდარი.

ვგ თავმდებია, რომ კვლავ გვიდგია
უკვდავ წინაპართ დიდი სული,
რომ საქართველო გმირთ აკვანია,
რა რიგ არ იყოს დამონებული.

მხედარს არ შეენის ფუფუნებაში
ბეჩავ-საბრალოდ ჰპოვოს სიკვდილი,
ლაშქართა ველზე, მედგარ ბრძოლაში,—
აი, სად კვდება მამულიშვილი.

კატო მიქელაძე

(*ტორლოზი — *Cr medie francis* — თეატრის მსა-
ხიობი. ბრიტუელის კონსერვატორაში დიქციის მასწავლე-
ბლად იყო. ტორლოზმა წერა *Pronciation* (გამოთქმა).
ამ წიგნით ჩვენც ვსარგებლობთ. ტორლოზი გარდაი-
ვალა ავგისტოში 1910 წელს.

მე მიუპარს...

(კ. ბალმონტიდან)

მე მიუყვარს მღელო ტყისა
სურნელოვანი,
კოცნის და შვების ხმისა
ხმა ბუნდოვანი;
ძახილი ზარბისა
შორად ბნეული,
მთვლემავ წნორთა წყებისა
წყაროსთან რული.
გამკრთალ სახეთ იერი
უტნობნი სრულად,
ზღაპართ ჯადო ხნიერი
არა ხორცხმულად.
რაც გვიტყუებს, რაც გვატყუებს
გამოცანებით
და სამუდამოდ გულს აბრუებს
იღუმალებით.

კიკნა-ფ შაველია



ქვეყნის მანათიოგელნი

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 35)

აი კიდევ მოცარტი. პატარა ვოლფგანს
დაკვრა არსად უსწავლია. ოთხი წლისა იქ-
ნებოდა ვოლფგანგი, როცა მისმა მამამ დაიწ-



ამაზე ვოლფგანგ მოცარტი

ყო მუსიკის მეცადინეობა უფროს. ქალთან;
პატარა მოცარტი თავის დის მეცადინეობას
თვალ-ყურს ადევნებდა და აქ შეისწავლა
დაკვრა. შეიღი-რეა წლის ბავშვი ისე დახე-
ლოვნებით უკრავდა ფორტეპიანოზე, რომ



ზღვისა და ხმელეთის მზრძანებელი გვირგვინოსანიც კი განცვიფრებაში მოჰყავდა... ერთხელ რომში პეტრე-პავლეს ეკლესიაში მოისმინა წირვა იმ საგალობლებით, რომლებიც აღკრძალული იყო სხვა ეკლესიებში ეგალობნათ; მოსმენა წირვისა და ზეპირათ დასწავლა ერთი იყო; მოვიდა შინ თუ არა, მაშინვე შეუდგა წირვის საგალობლების ნოტებზე გადმოღებას. და ის საგალობლები, რომლებიც მანამდე პეტრე-პავლეს ტაძარებზე იყვნენ დაჯაჭვულნი, დღეს საყოველთაოდ გარდიქცნენ. შორს წაგვიყვანს ამ ჰენიოსზე ლაპარაკი, მისი მოკლე ცხოვრება ერთობ საზღაპრო რამ არის; თუმცა ვოლფგანგ მოცარტი, ჯერ კიდევ სიცოცხლით აღსავსე, ოცდა თხუთმეტის თუ თექვსმეტის წლისა, წუთი სოფელს გამოვსალმა, მაგრამ რაც იმან მოანიჭა კაცობრიობას, იგი არც წარიხოცება და უადრესადაც გვანუგეშებს.



ტომას ელისსონი

მომავლობა თავის ტანის სითბოთი კვერცხებიდან. ელისსონი ამას არ დასჯერდა: ერთ მშვენიერ დღეს თავის საყვარელ დედიკოს მოჰპარა რამდენიმე კვერცხი, ავიდა სათივეზე, დააწყო კვერცხები და დააჯდა ზევიდან ფრთხილად. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, არსადა სჩანს, დიკარგა ბავშვი. ერთი დღელამის შემდეგ ძლივს მიაგნეს ბავშვს სათივეზე, რომელიც დინჯად იყო გამოქიმული და ელოდა წიწილების გაჩენას.. შეიღის წლისა იგი ვაქრობდა გაზეთებით რკინის გზაზე და თვალ-ყურს ადევნებდა მკითხველს რა ანტერესებს და რას უფრო ეტანება. ამ დაკვირვებას ის მოჰყვა, რომ მისმა ვაქრობამ ერთი აფად იმატა. მასთანავე იგი ბევრს კითხულობდა! თორმეტი წლის ელისსონმა გადასწყვიტა გარდაეკითხა ის რამდენიმე ათასი წიგნი, რომელიც იმის ქალაქის წიგნთ-საცავში ინახებოდა. ამა ვინ ურჩევდა, რა რიგზე წაეკითხა წიგნები! აქ თითონვე გამოიგონა გეგმა კითხვისა: ელისსონმა დაიწყო წიგნების კითხვა იმ რიგზე, როგორც დალაგებული იყო შკაფებში. ამავე დროს ელისსონმა რკინის გზის მოსამსახურეთა დახმარებით ბარგის ვაგონში გამართა ქიმიური ლაბორატორია, სადაც მუყაითად შეუდგა სხვა და სხვა ცდას და ქიმიის შესწავლას. ერთის სიტყვით ყრმა ელისსონის ცხოვრება—ცხოვრებაა ჰენიოსისა, წყურვილი ცოდნისა, ცხოვრებაა გაზოგონებისა, დაუღალავი საქმიანობისა და შეუდრეკელი ყოველივე დაბრკოლების წინაშე.

(გარბრელება შემდეგ ნომერში)

ი. კარგარეთელი

აი თუ გნებავთ ელისსონი. ბავშვამც კი იცის იგი, მაზედ მოუზნობს კაცი და ქალი, თაყვანისცემით წარმოითქმის მისი სახელი. მთელ ქვეყანას მოედო მისი საქციელი. თუ როგორ უნდოდა ელისსონს წიწილები გამოეჩინა. ჯერ კიდევ ხუთის წლის ყრმა—გარდმოქცემს მისი შემთავანე.—დაფიქრა იმ გარემოებამ რომ კვერცხებიდან, რომელიც მას არა ერთი გაუტეხია და შიგ კილისა და გულის მეტი არა უნახავს რა, წიწილები გამოიღიან. შინაურებმა ბევრნაირად აუხსნეს ბავშვსა, თუ როგორ გამოჰყავს ქათამს ჩა-



ბელგეიელი ჯარის კაცნი

რ მ შ ი

ბრძოლის ველზე

დატყვევებული

(სიმფონური პოემა კ. ფოცხვერაშვილსა)




ქ. შ. ა.

პოლკ. თავ. კონ. ვაჩნაძე
(მოკლულია)



პორ. ვ. ლ. სიხარულიძე



შტ.-კაპ. თ. გ. ზ. ჯაფარიძე

დების ხმები, შორს სივრცეში, კეთილ სულს
ესალმება და გზას ულოცავს. დატყვევებული სარ-
დალი მას აუწერელი სიხარულით და იმეკით
შესტკეპის. ორკესტრში მძლავრი სამხედრო
კილო წამოიჭრა, ლითონთა საკრანის მას ძალ-
ზე განამტკიცებენ...

კეთილი სულის უკან მოსჩანს ახალი მხედ-
რობა კაცთა ნათესავისა, რომელსაც წინ უძღ-
ვიან დატყვევებული სარდალის სატყუო, მოხუცი მამა
და გმირ წინაპართა აჩრდილი. ხმათა აღტაცება
თანდათან ძლიერდება, ახლოს არის გზა-ხსნისა...
გამარჯვების იმედიც კიაფობს და... ძლიერი
ფორტისსიმა კრულ მოსწყდა... და განაპქრა

...ორკესტრის სიმთა ჯგუფი
ტრემლად დნება, სტირის და და-
უსრულებლად მ-სთქვამს კაცთა
ნათესავის მხედრობის დამარცხებას
ბოროტ ქაჯთა წინააღმდეგ ბრძო-
ლაში.

მთელი მიდამო განადგურებუ-
ლია ზ მხოლოდ აქა-იქ სასიკვდილ ოთ
დატყვევებული კენესა და გმინვა-ღა
ისმის.

ვოლტორნის გამბეულ პედალ-
ზე ფაგოტი მომაკვდავ მთავარსარ-
დალის ტანჯვას აგვიწერს. უფრო
მსუბუქად დატყვევებული მეომარი სარ-
დალს იარას უხვევს და ანუგეშებს,
მაგრამ ამაოდ.. ღონე წართმეულ-
ნი ორივე მახლობელ ვაცივებულ
გვამს დაეყრდნობიან. ხის საკრავ-
თა ჯგუფი გახმაურდა. კლარნეტ-
სეპტიმეზზე აგებულ ჰანგს წამოისე-
რის, რომელსაც პირმოკუმული საყ-
ვირი ყრულ უპასუხებს ვით შორის
სერიდან ანაზღეული გამოახილი ..


გვიწვევით, გვიწვევით, ვკვდებით
უპატრონოდ... სადა ხარ შენ ღმერ-
თო, შემქმნელო ცისა და ქვეყნი-
საო!.. ყოვლად ძლიერო დასაბამო
კეთილისა და კაცთმოყვარე! რად
სდუმხარ, რად არ მოველინები ტან-
ჯული მწე-მფარველად: ესენი ზომ
შენი სახელით და შენივე წაქეზებით
ეკვეთენ ბოროტებას, რათა გან-
მტკიცებულიყო მუფუფა კეთილისა .
სიმთა ჯგუფი ჰანგსა სცვლის
და სრულ პიანისსიმოზე გადადის,
ვიოლონჩელი ხსნის მოტივს იწყებს.
პირველი ვიოლინოს ზევითა ფარ-



პოლკ თ. ი. თუმანიშვილი



ფლ.-ად. თ. გ. ნ. ერისთავი



პორუჩ. იუ. ახვლედიანი

ჩვენება... გარშემო უკუნი ბნელი ჩამოწვა...
შორიდან მშიერ მხეცთა ყმულილი მოისმის...
ორკესტრი კვლავ ჰგოდებს და მოსთქვამს... სამ-
გლოვიარო ჰანგი თანდათან ძლიერდება... მან-
ლობელ კლდეს შავფრთიანი მძლავრი ქარი-
შხალი მოსწყდა. ღრუბელნიც წამოიშალნენ...
ჰეი, ჰეი, ჰეი... უუუ... ხა,ხა,ხა, ხაა!

ვაი და ვუი კაცთა ნათესავს.
დადგა აღსასრულის დღე...
ორკესტრი სტეკს და ჰქუხს, ხშირი ელ-
ვაა... სდუმს ღმერთი ყოვლად ძლიერი კეთი-
ლი და კაცთმოყვარე, ხოლო ქაჯთა მუფუ-
მთის მწვერვლიდან დაჰხარხარებს განადგურე-
ბულ ბრძოლის ველს... კ. ფოცხვერაშვილი



ს ი ნ ა თ ლ ე ნ ა წ ი ლ ი მ ე რ კ ე

(ზღაპარი-ფერია 3 ზოქ. და 7 სურათად)

მომქმედნი პირნი:

ავთანდილი — მეფე
სახლთუხუცესი
ვეზირი
ქაჯთა მეფე
ჯადოსანი, მისი დედა
უფროსი ეშმაკი
I და II ეშმაკი
ეშმაკი — შიკრიკი
სხივოსანი, ფერიათა დელოფა

პირიმზე
მთვარია
ბროლისახე
ნათელა
ანკარა
წყრიალა
I და II კარის კაცნი
I და II პატიმარნი
I რაზმის უფროსი

ფერიები

II რაზმის უფროსი
მეომარი
მეწიქვილე
საბედლო
არსენა, მისი შვილი
I, II და III გლეხი
მეომარნი, ავი და კეთილი
სულნი, გლეხნი, მეფის ამა-
ლა.

მომქმედება პირველი

სურათი პირველი

ქაჯთა სამეფო. გულშემბარავი სურათი. დაბურულსა და უცნაურ ტყის ჯურღმულში ფართო გამოქვაბული. საზარელი ქმნილებანი დაძწიან და ცოცავენ. დრო-გამოწვევებით ისმის რალაც სისინი და ხმაურობა. გამოქვაბულში შავდ შემოსილი ქაჯთა გუნდი მოსთქვამს, დანარჩენნი ბანს აძლევენ. მუსიკა სასოწარკვეთილებისა და შენახარი. გამოქვაბულის წინ მარჯვნივ უცნაური კუნძი დგია. **უფროსი ეშმაკი** გამოქვაბულის ცოტა შორი-ახლოს წევს, მის ახლოს **პირველი** და **მეორე ეშმაკი**.

თქვე ლაჩრებო, მხდაღებოო .. ირცხვილით გარედ როგორ გამოდიხაროა .. დამედვენენ, სულ კულთ ქვა მასროლინეს..

პირ. ეშმ მა რა გგონია... აქლემების ჩხუბში კოხე იტყლიტებოდლო, ნათქვამია... მეფეთა მოსე ბელზებელი, დაილოცა მისი მადლი, ჩვენს მბრძანებელს ემძურის, კარგად ვერ მოიქეცო, ჩვენე კი ლამის არის სული ამოგებდეს..

უფრ. ეშმ. დაიწყეთ ისევე ყბელობა?.. ემანდ ხმა გაიკმინდეთ. .. რა თქვენეი კულის საქმეა... თქვენმა თავის გახეთქამ ჩვენს ბრძენს მეფეს კუეა არ ასწავლოთ... (მარჯულ ეშმაკს) გასწი აირბინე სერზე, შიკრიკი მოგვიახლოვდებოდა, სადაც არ ს განდებს.. მეფემ ბრძანა, რა წასე შიკრიკი განდეს, შემატუბონეთო... (მარჯული ეშმაკი გავა. — ყველას) თქვენ ეი, ცხვირები რას ჩამოგვიშვით... ისე როგორ დაეცით და დალაჩრდით, რომ ადარაზრის იმედი გაქეთ? მაინც და მაინც იმოდენი ძალა კი შეგვეწევს, რომ სუსტს და მომაკვდავ ადამიანებს მოვეერიოთ... თორემ ჯოჯოხეთი რალა ჯოჯოხეთი იქნებოდა..

ქაჯები (ერთად) ცუდათ არის საქმე ჩვენი, არსაიდან გვიჩანს შეველა, ვერას გავხდით, ვიღუპებით, ავგიმხედრდა ერთად ყველა!
ყველანი ვიღუპებით, ვიღუპებით, ავგიმხედრდა ერთად ყველა!..

ქაჯები. დიდება და გამარჯვება ქაჯთა მეფეს — ჩვენსა მხსნელსა, ძლიერია, მხოლოდ იგი აგვაშორებს განსაცდელსა!..
ყველანი. ძლიერია, მხოლოდ იგი აგვაშორებს განსაცდელსა!..

პირ. ეშმაკი. ე-ე; ძამიავ! ჩვენ სულს ძლივს-ლა ვლავავთ და შეველა-კი როდის იქნება, რა მოგახსნოა...

მეორ. ეშმ. ფესს ვერსად გადადგამ... იმ დღეს გამოწყრა ჯოჯოხეთის მადლი, ჩვენს საზღვრებს ცოტა გავცილდი და ბელზებელის ორს ჯარის კაცს შეგვხდი... დამინახეს თუ არა, დაპკრეს კიუნია, დამიფრინეს... ზაბი,

მეორ. ეშმ. რა ვქნათ, ბიძია!.. იმედი დავკარგეთ... რაც ის ოქროს შანდალი ხელთ ჩაიგდო ავთანდილმა, იმ დღიდან თავქვე წავიდა ჩვენი ცხოვრება: არც გამორჩენა, არც სიხარული .. ვუკრივართ აქა და დღე-ღლეობით დავსუწუწუნებთ... დრო კი მიდის: იმითმა ორმა-სამმა შეთამამავლობამ სიციცხლე მოიკამა და ჩვენს საქმეს კი გამოსწორება არა ეტყობა რა..



უფრ. ეშმ. შენ, ეი, აქ მოვიხირო! (მეორე ეშმ. მიუხედავად) გამიგონე... დღეს ჩვენი ბატონ-პატრონი კარგს გუნებაზედ არის... ალბად აპირებს რასმეს... სამი წელიწადია ხმა არ ამოუღია, თავის დედასთანაც კი უმძრახად იყო: ახლა კი ეხუმრა და უაღრესად კიდევ... ჯადოსანმა ისარგებლა და შესწივლა: ვიღუპებით, სარჩო-საბედგებელი აღარ გაგვაჩნიაო...

მეორ. ეშმ. მერე ბიძია, ბატონმა რაღა უთხრა?.. ვინ იცის გაბრაზდა .

უფრ. ეშმ. არა, არა... ერთი თავისე ბურად ჩაიხარხარა .. მალე, მალე, დედი, ერთს დიდს საქმეს შეუდგები და, თუ მოვიგე, ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყვესო...

მეორ. ეშმ. ეი, პა, პა, პა... გოგრა კი ძალიანი აქვს... გამოიგონებდა რასმეს...

უფრ. ეშმ. (სადაუმიჯნადა) ყური მოგკარ: დღეს მეფეთა მეფის ბელზებელის ბრძანება მოსვლია — პატივებს უთვლის და უბრძანებს გაილაშქროს .

მეორ. ეშმ. ი შიკრიკი საიდან-ღა მოდის?..

უფრ. ეშმ. ოცი წელიწადია ავთანდილის სამეფოს ჩვენი მხვერავი უთვალთვალეებს... რაც ჩვენი განთქმული წინაპირი გველეშაპი იმ სამეფოში დაიღუპა, მას აქეთია ჩვენმა ბატონმა სამეფოს მხვერავი მიუყენა... აქნობამდისინ ამბავი არა მოგვედიოდა რა: ახლა მხვერავს შიკრიკი გამოუგზავნია ამბის შესატყობინებლად... (შემოდის ზივრედი ეშმ.)

პირ. ეშმ. ბიძია, გამოჩნდა შიკრიკი . ისე მოფრინავს, როგორც შევარდენი... აბა მეფეს შეატყობინე . (უფროსი ეშმაკი გვერდით გავს) ძამიავ! ალბად რაღაც ამბავია... ნეტავი შიკრიკი რს მოგვიტანს?..

მეორ. ეშმ. ძმაო, ჩვენს მეფეს დიდი რამ საქმე განუძრახავს... ძან ეშაღება... ალბად ავთანდილის სამეფოსკენ თუ გავილაშქრებთ...

პირ. ეშმ. გაილაშქრებ, მე შენ გითხრა, დიდი ჯარი კი გვეყავს... რაც ოქროს შანდალი ავთანდილმა ხელთ იგდო, ფერიებმა მუსრი აგვადანეს, გავგანადგურეს, დავგაუძლურეს... არ ვახსოვს ერთს წელს მთელი ჩვენი ჯარი კლდეზე გადაწიხეს?..

მეორ. ეშმ. ფიქრი ნუ გაქვს... დღეს ბელზებელის ბრძანება მოსვლია... ალბად მეფეთა მეფე ჯარს უგზავნის და წყალობას უთვლის... ავერ მოდიან... (უცნაური სარჩო მარშა, ქარაშხალი და ქუხილი. სტენაზე წითელი სინათლე. გამოვლენ ქაჯთა მეფე, ჯადოსანი, უფროსი ეშმაკი და ქაჯთა ამაღა)

ქაჯები და ეშმაკები (ერთად)
ვაშა, ვაშა ქაჯთა მეფეს, დიდება და გამარჯვება! მესხა დასცემს, ქარს დაჰპერავს და ქვეყანა გამტვერდება. მტერს რისხვა და ჩვენ კი შველა, — თავდებია თვით სატანა!..

ქაჯთა მეფე. ბელზებელ, ბელზებელ!.. **ყველანი.** ბელზებელ, ბელზებელ!.. (ქაჯთა მეფე კუნძულზე ჩამოჯდება, უდასანა მის ფეხთ დაჯდება, უფროსი ეშმაკი გვერდით, ამაღა ორავ მხარეს. შემოდის ეშმაკი-შიკრიკი)

ეშმ.--შიკრ. (დაუმსება) დიდება და გამარჯვება ქვეყნის მბრძანებელს!..

ქაჯ. მეფე. ძლივს... ჩხირი კედელს... ჯოჯოხეთი გაგიწყრათ?... აქნობამდისინ ერთს სიტყვას მაინც ვერ მოგვაწვდიდით?... რა ჰქვითო? რა ამბავია? თუ ხელსაყრელი მოდისხარ?..

ეშმ.--შიკრ. დიდებულო, დილოცამეფეთა მეფის სახელი და შენი გამკრიახი გონება და ნიქი... როგორც იწინაწარმეტყველე, სწორედ ისე მოხდა... მეფე ავთანდილმა სული ჩვენსკენ მოიბრუნა...

ქაჯ. მეფე როგორ?... ნუ თუ?..

ეშმ.--შიკრ. შენმა მხვერავმა დამაბარა მოგახსენო: თუ წინად ხალხი ავთანდილის სახელს ლოცულობდა, ახლა მისი სახელით ბაღდებს ამინებენო... დიდი აუჩხურობა... დღე ისე არ გაივლის ოციოდე ქალ-ვაჟს თავი არ გააგდებინონ და რამოდენიმე ხნეზე არ ჩამოჰკიდონ... ავთანდილს მუდამ ღალატი ელანდება. ახლოს, ათიოდე ერთეულ კარის კაცი გარდა, არავის იკარებს, არავის ენდობა . მთელს სამეფოში ვაი და ვუი ისმის .. ხარჯებმა ერთი ათად იმატეს... გააფთრებული გზირ-ისასულები დღე და ღამ დაძრწიან მთასა და ბარში და ხალხს ისე მკიან, თითქოს



ოქროს თავიანი თავთუხი იყოსო... თვით ავთანდილმა ამოიყარა გველეშაპის ჯავრი.

ქაჯ. მეფე. ოქროს შანდალი და ფერიები?...

ეშმ.--შიკრ. ოქროს შანდალი რა ხანია ჩაქრა, აღარ ინთება... ერთხელ ავთანდილმა აანთო, გაჩნდნენ ფერები, უბრძანა იცეკვეთო... არ იცეკვეს, ავთანდილის უკმაყოფილონი იყვნენ, რადგანაც მან ფიცს უღალატა, მათი სურვილისამებრ არ იცეკვოდა... გაბრაზდა მეფე, მიუსია ფერიებს თავისი ამაღლა, თქვენთვის მიჩუქებია ფერიებოო. დაცნენ ფერიებს კარის კაცნი, გაქრა შანდალი, გაქრნენ ფერიები და მას აქვს აღარ ინთება შანდალი და აღარ უკრავს სალამური...

ქაჯ. მეფე. მერე, მერე?..

ეშმ.--შიკრ. ავთანდილი, რა თქმა უნდა, უფრო გაბრაზდა, დაანარცხა შანდალი ქვას, მაგრამ ვერა ავნო რა... უხმო მქედლებს, მიადგნენ მქედლები დიდი ხედვებით, დაქრეს შანდალს, მაგრამ მაინც ვერა ავნეს რა... ავთანდილმა მიუვალ კლდეზე ააშენებინა რკინის კოშკი, შანდალი, ტალკვესი და სალამური შიგ ჩააკეტინა ფოლადის კლიტეთი და მიუყენა დარაჯნი... თუ ჩემთვის არა—

არც არავისთვისიაო, გაიძახის ავთანდილო.—

ქაჯ მეფე. დალოცა ბელზებელის სახელი!.. დიღია მადლი და წალობა ჯოჯოხეთისა... ქაჯებო, ახლა კი დადგა ჩვენი დრო! (გაშლის ხელებს) ახლა კი აღსდგეთ, ჩემო გმირებო, დადგა დრო შურისძიებისა!.. (ყოველ მხრიდან წამოდგებიან შუაღ შეშინილი, ნახევრად შიშველნი, მხეცბრებით შემოსანი) შევსწიროთ მადლობა დიდებულს ბელზებელს და მის ერთგულს ძმას სატანას.. (გულშემოხრავი, ჯოჯოხეთური მუსიკა. ეველანი წამოდგებიან. გამთავრდება კომპოზიცია გუნდი და უცნაურად ტყუავს. გაათავებს ტყუავს)

ქაჯ. მეფე. ქვესკნელის ძალნო, ჯოჯოხეთის მკვიდრნო!

თქვენ დაულოცეთ გზა ჩვენს ლაშქარსა!

ყველანი. ჰე ჯოჯოხეთო! მადლით მოსილო, ჰე, ბელზებელო მნათო ჩვენთენია, დალოცეთ ჩვენი მეფის მარჯვენა, რომ გამარჯვებით ვიდოდეს წინა!

ქაჯ. მეფე. ბელზებელ, ბელზებელ?..

ყველანი. ბელზებელ, ბელზებელ!.. (უცნაური კოკოფონია, ქუსხიდა)

ვ ა რ დ ა.

ქაჯის ხელმოწერა

ქართულ სახალხო თეატრის ისტორია

(გაგრძელება.—იხ. „თ. და ც.“ № 35)

აჭაღის ქუჩაზე შემხვეულ სახაიეს შენობის დთავადიერებს შექმდე, ამხანაგობამ შეიტყო, რომ თუ ნ. ა. ხუდაღოვამ მოინდოვა, შენობას უსათუოდ დაგვითმობნო, ამხანაგობამ ამოგვარნაბა ოთხი ზირა: 1) ვასო ჯანაშვიდი (თეატრისმწიფი), 2) ამირან ნიკოლოსოვი, 3) გიორგი ჯანაშვიდი და იოსებ იმედაშვიდი. წყვედით აქ ვასოსგანებულ ქვიშ ნ. ა. ხუდაღოვან მისლანაზარკებდად. აუსხენით, რომ ხედასანთა ამხანაგობას აზრათა აქვს სახალხო წარმოდგენების მართვა, სურს თეატრს შეაჩუფოს ის ხალხი, რომელსაც კვირა-შუქვიებსა და სხვა დროს დიდად სულამომდას სარდაფითუის თავი ვერ დაუსწევია; აუსხენით ისიც, რომ ამხანაგობა კარგა ხნის რაც მართავდა ამ გვარ სახალხო წარმოდგენებს და უადგილობის გამო ძლიერ ქვეყლებდა.

ექიმს ხუდაღოვს ძალიან მოეწონა ჩვენი ხალხანარკები და სიღილით გვითხრა: ეგ კარგია ბაჭუნებო! აბა ეცადეთ, მცადეთ. წადით, თქვენ მოემზადებით და მე ვეცდები, წარმოდგენისათვის ქაღაქს ეგ შენობა დაგვითმობნათ. როცა მოემზადებთ — ჩემთან მოდიეთ.

ამ ამბავს ჩვენ ეველანი ძირეულად გავაფრთხილეთ. სისარულით ფეხსეად აღარ ვიდ ქით. სხვა უკვე მოვშორდებით უბნებში შიშით წარმოდგენების მართვას; მუდმივ საევიწროებსა და უბინობას.

ავიღრნეთ რაც გინახავს ვეღარ ნახავა, დავიწუთო მათის მომზადება. გახურდა რემეტიცეპია, მაგრამ ჩვენ და საუბედროდ ქაღია ანა გვეყვდა კატინეს როდის სთამამოდ*). ბოლოს,

*) მაშინ ქალები სათოფედ არ გვეკარებოდნენ, რადგანაც მღაბრი ქალებს სასირცხვილოდ მიჩნდით სცენაზე თამაშო, ხოლო მადლი წრის ქალი რას გვიკადრებდა მუშებს!

როგორც იქნა, ვიზიზივით ერთი მოსარეგნე ღე-
დაკნა, გვარად იმედოვი, რომელმაც ქართული
წერ-კითხვა არ იცოდა, დავითის ხმით ვ მანათად
და კატინის როლი სულ ზებინად შევასწავლეთ.
გაცხინა საქმე. ამ დროს კიდევ შემოგვემეტა
ილიაო სუხიშვილი. მოვამზადეთ ზიქსა და
წვევლით ზემოსხენებულ კეიმ ნ.ა. ხუდადოვანი.
ბ. ხუდადოვანს მივეწერა თავადის ასულს
მ ა. ანდუთისსკისთან. იქ გვაიცნაოთ ვ. დ.
ქართველიშვილის ასული (მიქაბერიძის).



- 1) ვერა ღავითის ასული ქა ღვე-
ლიშვილი (მიქაბერიძის), რომელ-
მაც პირველმა გაუწოდა ხელი მუშა-ხელოს-
ნებს და სახალხო წარმოდგენების მართვის
ხელი შეუწყო პირადის შრომა-ღამზარებით.
- 2) მარიამ თ-დ ალიქს. არღუთა-
შვილის (არღუთისხის) ასული,
სახალხო წარმოდგენების პირველი ხელის
შემწყობი.

გერა და ვ. ქართველიშვილის ასულმა, როცა ჩვე-
ნი მიზანი გაიგო, აღტაცებით მიგვიღო და
ამ სიტუციებით მოგვამართა: სადა ხართ, ემსწ-
ვალეობ? თქვენისთანა ხალხს დავუძებთ. ა ამ ორივე
ქალის შემწყობით ვიშოვეთ ნებართვა წარმოდ-
გენის გამართვისა და შენობაც დავგეგმეთ.
მაშინ სანაბე გაუთფილი იყო ორ ნაწილად,
ცაღმხროვი კედლით. ერთ ნაწილში მითავსებულყო
ყო ჩაის ასადუღებელი კუბა (ბორჯელობის დროს
ჩაის ადუღებდნენ), მეორეში ხალხი სხდებოდა.
ჩვენ საჭიროდ გსცნაოთ, ის კედელი და ჩაის
ასადუღებელი კუბა დავგვეგრა და სცენა ისე
გავგვეკეთებინა. თქმ და საქმის დაწვობა ერთი
ყო, შეუდგეით საქმეს და დავიწყეთ მუშაობა.
ეველანი ერთსულად და ერთგულად ვმუშაობდით.
ამ საქრთო სიხარულსა და სიცილ-სარხარში
გერე კი გავიგეთ ისე მოვასუფთავეთ იქაურობა.
მკვრამ ცოტა არ იყოს შეგვეცუდა და ზურინ
მოგვმოუდა, ჯიბეში კანკეიკი არც ერთს არა
გვექონდა. ასე 10 საათი იყო რომ მიწის გადაურა
გვათავივით. სიღ იყო და სიღ არა, განდა ღათი-



დ. რ ზველიძე
დამსახურებული სცენ-
ის მოყვარე, პირველი
ხელის შემწყობთავა-
ნი სახალხო თეატრის
აღორძინებისა.

გა შევლიძე და მშვირი
კუჭი იმან გავიბომა ჩაიო.
მართლაც სწორე უნდა
სიქვის კაცმა და ღათიო
შევლიძე ასხანგობას ხშირად
ეხმარებოდა ნიეთიერად. გა-
თინად შეორავ დღე, სხლა
ჩქენთვის სცენას იყო სცენა-
რო (გრძელი სკამები შეგვი
ყო ძველათვე დარჩენილი),
შეუდგეით სცენის გაკეთების,
გამოგოცნახეთ ზურეთი იქ-
ვე მახლობელ ქარხნადან
ფიტრები. ხელისანი ღარ

დაგვიბრდა, რადგან ხელისნები ჩვენვე ვიყავით და
მალე სცენაც მოვამზადეთ, რაც 17 მანათი და-
გვიჯდა.*) სცენა გავმართეთ, მკვრამ დეკორა-
ციები არ გვექონდა. ამაშიც დავგვემართა მ.
ა. არღუთისსკის ასული, და მისის შემწეობით
დეკორაციები ძველი კრუჟოკიდან მოვატანეთ.

ასე ამ ნაზრად თეატრი მოვამზადეთ, და
ზირველი წარმოდგენა ქართველ ხელოსანთა
ამხანაგობის სახელით გაიმართა ავჭალის ეო-
ფილ სხაიეში 1893 წელს (ენგენისოფეში).
დაიდა ზემოსხენებელი ზრაც გინახავს—ვედრ
ნახავა. ეს წარმოდგენა გაიმართა უფასოდ, ხალ-
ხი დიდადი მოგავწვდა, თეატრში ადგილი
ღარ იყო, მკვრამ ხალხი ჩაინტ ოსოულობაც
შესვლას. ჩვენ საბუთი არა გვექონდა, გვეთქო
ბილეთები გაიყიდაო, რადგან ბილეთები სულ
არა გვექონია და ხალხს ისე უშეკებლით, მხოლოდ
ვეუბებოდით, რომ ადგილი ღარა გვექნო.
მკვრამ ვინ დავგვიჯერებდა: აი, კუნსუქში, მიე-
ღებო, იძახებენ. ამ გვარად თეატრი ხალხით
გავსტვდა. წარმოდგენა ჯერ არ დაწყებულაიყო,
რომ განსვენებულაიყო ექიო ნ. ა. ხუდადოვი მო-
ვიდა. იმან გვიჩინა, ფანჯრები დავგვეღო, რათა
სუფთა ჰქარი შემოსულიყო (მაშინ სანაბეს
გვერდზე დაბლა ფანჯრები ჰქონდა). გადაუღ
ფანჯრებიდან ხალხი შემოგვემართა და მინებიც
დაკვიმტრავეს. როგორც იყო, ხალხი შევიკავეთ
და სახალხო თეატრში ზირველად ფარდა იქნა.

და ეს დღე უნდა ჩითთვალოს სახალხო
თეატრის დაარსების დღედ, ეს იყო 1893 წ.
ენკენისთვე.

გ. ჯაბაური
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

* ეს ფული ამხანაგურ სალოროში გვექონდა
მოგროვილი, ათშურობით გადახდილი.



დრამატ. საზოგად. ფლიურის კრება

(გაგრძელება. იხ. „მ. და ც.“ № 35)

რა დირექტივები მიეცეს სათეატრო კომისიის?

ა. გედევანიშვილი — კრებამ კომისიის დირექტივები უკვე მისცა: ფულის შეგროვება, თეატრის გეგმის შედგენა, ადგილის შოვნა და ის წინასწარი სამუშაო, რომელიც თეატრის აღდგენის საქმეს შეეხება.

პ. ა. გოთუა. კომისიები პროვინციებში უნდა მოეწყოს და მათაც სრული ხმა ჰქონდეთ.

გ. დ. ჟურული — კომისიის მოქმედების მიზანი ცხადია. რაც შეეხება დირექტივებს, — ეს თვით კომისიის შინაური საქმეა და ამაზე ლაპარაკი აქ ზედმეტია.

შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი (გამგობის წევრი) — ყოველად შეუძლებელია ასეთ დიდ კრებაზე დირექტივებზე ლაპარაკი როდესაც კომისია წინასწარ სამუშაოს დაასრულებს, მაშინ მოწვეულ იქნება საზოგადო კრება დრამატ. საზოგადოებისა, რომელიც დადასტურებს, ან უარყოფს კომისიის ნამუშევარს.

თ-დი პ. ი. თუმანიშვილი. ყოველ წერილობზე ლაპარაკი ამ კრებაზე საჭირო არ არის. უნდა გამოვარკვეოთ მხოლოდ ერთი რამ. როგორ ვუცქერით ჩვენ თეატრს: როგორც ისეთს დაწესებულებას, რომლითაც თავ უნდა მოგვეკონდეს კულტურისა და ხალხის, თუ როგორც სკოლას. გულახდილად მოგახსენებთ, რომ თეატრის გადაწვის შემდეგ კარგად გამოირკვა ჩვენი საზოგადოების არა სასურველი დამოკიდებულება მშობლიურ თეატრთან: უბედურების შემდგომ იქნა წარმოდგენა გავმართეთ ზედი-ზედ, მოველოდით საზოგადოების ფართო თანაგრძობას, მაგრამ სამწუხაროდ, წარმოდგენებმა მოსალოდნელი შემოსავალი არ მოგვცა. ჩვენ მეტის-მეტად შევითვისეთ რუსული კულტურა, ქართულს კი გვერდი ავუქციეთ. რუსულ თეატრში ხალხისათვის მივიღვართ, ქართულში კი — არა, და თუ მივიღვართ, სიყვარულით კი არა, იძულებით, მოვალეობით, თეატრისათვის მხარის დასაქვრად ჩვენგან 70 პროც. ასე იქცევა და ასე გრძნობს სხვა საქმეა ქუთაისში,

სადაც რუსული თეატრი არ არის და, მაშინ-სადაც, ხალხი ქართულ წარმოდგენებზე უნდა დადიოდეს. თუ თეატრს ჩვენ ვუცქერით როგორც სკოლას, მაშინ სხვა საქმეა და სათეატრო კომისიის დანიშნულება და მიზანიც იცვლება; მაშინ ჩვენ უნდა შევიქმნათ სახალხო თეატრი, უნდა დავაარსოთ დრამატიული სკოლა და შევიშუშავოთ პიესების ტიპი. ჩვენი პიესები სულ თარგმანებისაგან შესდგება. უნდა ვიზრუნოთ ორიგინალურ პიესებისათვის. უნდა გამოვცხადოთ კონკურსი. თუ მწერლები არ გვყვანან, ეს მეთად სამწუხაროა, რადგანაც ეს ჩვენი გადაგვარების მომასწავებელი იქნებოდა. საჭიროა, კრებამ თავისი აზრი გამოთქვას.

თავმჯდ. გ. დ. ჟურული — თ-მა თუმანიშვილმა საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა, მაგრამ ყველა ამ სიტყვაში ნათქვამი საღვებით არ შეეფერება დღევანდელ კრების საგანს. მაგალითად რეპერტუარის საქმე. ეს კომისიის საქმე არ არის. ამაზე შემდეგ კრებაზე შეიძლება ლაპარაკი, ანგარიშის განხილვის დროს. რა სახისა უნდა იყოს ჩვენი თეატრი, დემოკრატიული, თუ დიდებულის-ლამაზი, — ამაზე ლაპარაკი კი შეიძლებოდა აქ. ჩვენისთანა ღარიბ ერს როგორი თეატრი ესაჭიროება: ისეთი დემოკრატიული, როგორც ბერლინში მისდევნენ, თუ სხვა, — აი ყველა ეს უნდა გამოირკვეს.

(კრების მონაწილეთ მოითხოვეს: ოქმში შეტანილ იქმნას, რომ კომისიის წინასწარ სამუშაოდ იგულისხმება: ფულის შეგროვება, ადგილის შოვნა, თეატრის გეგმის შედგენა და ყველა ის საქმე, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს ქართულ თეატრის აღდგენასთან).

ა. წუწუნავა. გეგმის შესახებ კომისიის აქვე უნდა მიეცეთ დირექტივები, წინასწარი ფარგლები გეგმის შედგენისა ახლავე განისაზღვროს.

შ. მიქელაძე (გამგობის წევრი) — ეს კითხვა კომისიამ უნდა განიხილოს. იგი გადასწყვეტს, როგორი თეატრი გვინდა: დემო-

კრტიული, იაფი და დიდი, თუ სხვაგვარი. კომისიის ნამუშევარი საზოგადო კრებს მოხსენდება და მის უდასტუროდ არა ვაკეთდება რა.

ს. ტარუაშვილი. აქვე უნდა დავადასტუროთ, რომ ჩვენ გვეპირებება სადა და მობერხებული თეატრი.

პ. ა. გოთუა. ჯერ ფული არა გვაქვს და რა დროს გვემაზეა ლაპარაკი.

პ. ი. თუმანიშვილი. გვემის გამოკვევა სწორედ იმიტომ არის საჭირო, რომ ფული ვიშოვოთ ბევრს აინტერესებს განზრახულ თეატრის სახე და ამ სახის მიხედვით აპირებს ფულის შეწირვას.

თავაძღ. გ. დ. ჟურული. გვემის საკითხს მომავალში გვერდს ვერ ავუქტეცვთ, მაგრამ დღეს ასე ანაზღვეულად მახე ლაპარაკი მეტია, რადგანაც კომისიის ნამუშევარი შემდეგში ისევე თქვენთან დაბრუნდება.

პ. ა. გოთუა. საჭიროა, კომისიამ გვემის განხორციელებაზე საზოგადო კრების უდასტუროდ არავითარი ფული არ დახარჯოს.

რ. გაბაშვილი. სასურველი არ არის, დრამატიულ საზოგადოების გამგეობა სათეატრო კომისიაში შედიოდეს. სადებუტატო საკრებულოში მომხდარ კრებაზეც გამოითქვა ასეთი აზრი. გამგეობას თვით მოუსურვებია კომისიაში შესვლა და თავიანთი თავი წარ-

მოგვიდგინა საუკეთესო პირებად. გამორკვეულ იქმნა, რომ კომისიის ქვეორუმი 15 კაცისაგან უნდა შესდგებოდეს და ამ თხუტმეტ კაცში გამგეობა, რომელიც 7 კაცისაგან შესდგება, მთელის საქმის თითქმის ბატონი იქნება

შ. ალექსი-მესხიშვილი. გამგეობის შესვლა კომისიაში უპირველესად იმ იურიდიულის მოსახრებით იქმნა საჭიროდ აღიარებული, რომელიც უწყით. კომისიას ბ-ნი გაბაშვილი ახლოვე ახვევს თავზე უსაქმობას და ამბობს, კომისიის კრებებს 15 კაცის მეტი არ დაესწრობა 45 კაცისაგანაო. კომისიას დიდი მიზანი აქვს, ამიტომ სრული იმედი მაქვს, რომ მხნედ იქმოქმედებს.

შ. მიქელაძე. გამგეობის წევრებს თავის თავი არ ამოურჩევია კომისიის წევრებად. კომისიის წევრად დასახელებულია გამგეობა, როგორც მთლიანი იურიდიული ერთეული. გამგეობის წევრებს ჩქარა სამსახურის ვადა ვაუთავდებთ და წევრებად სხვა პირნი იქნებიან არჩეულნი. იქნებ თვით ბ-ნი გაბაშვილიც მოხვდეს ჩვენს შემდეგ გამგეობაში, თუ რასაკვირველია, იგი დრამატიულ საზოგადოების წევრად ჩაეწერება.

(კრებამ სათეატრო კომისიის სია დაამტკიცა.)

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ხ ი ო ბ ა

ქართ. დრამ. დანის ამხანაგობა სახელს სახელში შეუდგა მუშაობას და ოთხშაბათს, 5 ნოემბერს, წარმოდგინა დ. ანდრეევის „დენი ჩეხნი ცხოვრებისა“, თარგ. ალ. იმედაშვილისა. შინაარსიანი ზიესა, სრულია ანსამბლთ მოწყობილია წარმოდგენს, დიდძალი საზოგადოება, წარმოდგენის დროზე დაწყება, ადრე გათავება (თერთმეტი საათი არცაი იყო) და მთავრისა შეთანხმებული ტაშით დაჯილდოება—ართი ადისიონა ქართ. დრამ. დანის მსახიობთა ამხანაგობის ზარგული ნაბეჭ. ნინო ჩხეიძემ (ოლ-ოლ) ე. აბაშიძემ (ფ ან-ანკენ) და ალ. იმედაშვილმა (ტლუხოგეცეა) ხომ მთლად მთავად-

ვეს საზოგადოება თვისი ხელთაგან თამაში მსახიობთ თამაშს დაწვრილებით არ შეუდგებთ. ვიტყვით მხოლოდ რამეოჟგული მონაწილე—აღ, უაღაბეიშვილი, ი ბუქანაშვილი (ცოტ-აკი ამაღაშება) მ. ჭიაურელი, ი. წარდალიშვილი ე. არაბიძე, ა. ქაქაძე, ნ. თიბე და სხ.—ნაკის რთლს დიდას დაკვირვებით და შეკნებით ასრულებდა. ზიესის დადგმას აშკარად ემხნეოდა რეჟისორის (ბ-ნ მ. ქორელი) ხელი და ღაზათი, თუ ნორჩმა დასმა ამ ცხათ განკარძო მუშაობა, დაწმუნებული ვართ, ქართული საზოგადოება მუდამ მხარს დაუჭერს.



მუთაისის თეატრი. მართალი უნდა სთქვას

კაცმა დიდი მადლობის ღირსია ქუთაისის დასი და ამ მადლობას ტაშით და ფულით გამოხატავს დიდძალი დაუმწერ საზოგადოება. სეზონის დაწყებისას ასეთ თანაგრძნობის იმედს საზოგადოების მხრით ყველაზე უფრო მეტი იმედი იქონიებდა. ამის მიზეზია ერთი მხრით დასის შემადგენლობა და საერთო სულიერი განწყობილება. იმის თქმა, ვითომ რეპერტუარის ღირებულება იყოს დიდი, — შეუძლებელია, რადგან ჯერჯერობით ასეთი არაფერი გვიჩვენებს. „აღლუმი“, „ქრისტიანი“, „ვაკებულურებული ოჯახი“, „მთის ზღაპარი“, „მეგობრობა“ და სხ. პიესები ძველია; თითქმის ვაჭურბოები აქვს ყოველ ჩვენგანს.

მაგრამ ამის მიუხედავად, რამდენადაც უწყობს ხელს ქუთაისის დარბი სცენა და ძლიერ უხერხული შენობა, ჩვენი დასი სასწაულის სჩადის. ყოველი პიესა იდგმება დიდს დაკვირვებით, სიქმის ცოდნით, მასიური სცენებით კარგად მოწყობით და საუცხოვო ანსამბლით. მართალია თითო ორჯერ როლის გამეფებულ ურევია ყოველ საღამოს, მაგრამ ისინი საერთო შთაბეჭდილებას იმდენად ვერ ატევენ, რომ წარმოდგენა სრულიად წარმოუდგენელი გახადონ.

16 ოქტომბ. ვასო აბაშიძის გასტროლით გავი-მასპინძლად ჩვენი დასი და აღმდგეს კარგად ცნობილი „აღლუმი“. ბ. იშხნელი (პეტერ ბრანდტი), ქ. ჯავახიშვილი (ქ. ბაბაღი), ტ. აბაშიძე (კ. ნუცა), ქ. დავითაშვილი (თამარი), ბ. ურუშაძე (ლუკა მწიგნობარი), ქ. მდივანი (ლიზა), ბ. გუნი (ლინეზალი), შალიკაშვილი (მრებუჭაშვილი) და საღამოს გმირი ვ. აბაშიძე (პარახიანი), ყველა საუცხოვო იყო. ადგილი ნებას არ გვაძლავს დაწერილებით ყოველ მაგავანს შევხებით ცალკე და არც საჭიროა, რადგან კარგის მეტი არა იქმის რა.

„დავა“ მეორე მოქმედება ხომ გვირგვინი იყო მთელი საღამოს. ვასო შეუდარებელი თარჯიმანი იყო; შალიკაშვილი გოდარდის როლში, — ნამდვილი იმერელი, — გუნია ხომ გოგოლის ტიპის მიხედვით იყო და საუკეთესო მისი გამოხატველი.

19 ოქტომბერს წარმოადგინეს ბ. შალიკაშვილის „უპრეტენზიო კომედია“, რომელშიც მთავარ როლებს საუკეთესო ძალები ასრულებდნენ — ბ. ვ. აბაშიძე, გუნი, შალიკაშვილი, ქ. ქ. დავითაშვილი, ჯავახიშვილი, მდივანი. დიდი არტისტიკა პატარა, უმნიშვნელო როლშიაც ადვილად იცნობება. ვასო აბაშიძის როლი ამ პიესაში (ლინეზალის როლს ასრულებს) კარგად წარმოადგინა თავისთავად, მაგრამ ვასოს ლეიფთუანი ნიკი არაფრისგან პირველ ხარისხივან რუმეს ქმნის. შემდეგ თითო მოქმედება „მათიკო“ — დან და ვოდველი (ვ. გუნიასი) „არც იქით — არც აქით“ მხიარულად ჩაატარეს. ეს წარმოდგენაც უნაკლებოა იქნებოდა, რომ ჯერ ერთი, ბ. იშხნელს ისეთი ძლიერი ხმა არ ჰქონდეს, როცა ეს საჭირო არაა, მეორე ბ. ციციშვილსაც ვაჭურბონება, რომ თეატრში ყველა ყრუ არაა და ქ. ჯავახიშვილს საუცხოვო თამაშობის დანა ტუფლების გამოცემა არ დაეწყებოდა.

21 ოქტომბერს დადგმულმა „და ძმამ“ ვერ დატყვევებულა. თავიდანვე კუდი ტონი აიღეს და ბოლომდე არაფერი ეშვალა მისი გამოწვევების. ჩვეულებრივი იყო მხოლოდ ბ. მესხიშვილი გაიზიარა როლში. ბ. მურუსიძე გიორგის პარტიას ჩინებულად უმასპინძლებოდა, დანარჩენნი კი რალაც უგულოდ თამაშობდნენ, თუმცა ყველა როლს ღირსეული ამსრულებელი ყავდა. აქვე არ შემოიღია არ შეენიშნა, რომ „მეგობელი“ რუსული სახელწოდება ოლინოს და არ მასსოვს ბ. გუნიასი ეს სიტყვა ქონდეს ნახშირი პიესაში, როცა ოტია აქებს ოჯალუმის ღვინოს. მკირე ნიციენტი მოხდა, რომელიც საბედნიეროდ კარგად გათავდა. როცა გაიოზი (ლადო) დასამალავად მიდიოდა, კიბეზე წაბარბადა და გადმოვარდა, მაგრამ ისე, რომ პიესის მსუფელობა არ შეწყვეტილა და ბევრს არც კი დაუახავს.

L.ami

სახალხო სახლი ტრ. რამიშვილს ბედი სწყალობს, მისი პიესები ზედი-ზედ იდგმება: 31 დღე-ნობისთვის წარმოადგინეს „დღინაცალი“, სამზაბათს, 5 ნოემბერს „მეზობლები“ (ამ სეზონში მეორედ).

ტრ. რამიშვილის პიესების განსაკუთრებული თვისებაა მაყურებელს ის განადიდების, რაც მომქმედ პირთ სცენაზე პირდაპირ საცხებით არ გადმოაქვთ. განსაკუთრებით ბოლო დროის პიესებში ტუნუობს ავტორი და ოკლე გამოთქმებით, მარტივი სცენებით მსურს გადაგვიშალოს ადამიანთა სულიერი დრამა და სოციალური უკუშედეგობა. ამიტომაც ფიქრად საჭიროა, მისი პიესები დიდი სიფაქიზით იყოს ხოლმე მომზადებული, უმისოდ სათანადო შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს. ამ მხრით ძლიერ სუსტობდა „დღინაცალი“. პიესის დადგმას ცოცხალი სული აკლდა. ზოგიერთ მოთამაშეთ თითქო ვერც კი შეგვენთა — ვის და რას წარმოადგენდნენ. თვისის მაღალ ხელოვნურის თამაშით საუცხოვო იყო მხოლოდ კახელი (ობოლი); კარგები და უფრო შესაფერისნი იყვნენ ელ. ციმაკურიძე (დღინაცალი) და ნინო (მალხაზი). როლებს უცოდინარობდა ძლიერ ნაბრკოლებად სცენის მოყვარეთ თამაშს.

სამაგიეროდ ძლიერ ხელოვნურად იყო დადგმული „მეზობლები“. დიდი მადლობის ღირსია წიების გამგეობა და რეჟისორი, რომ ხალხს ასეთი პიესებით უმასპინძლებდა: ასე თუ იმოქმედა, უფრო მეტს მოიკვებებს წიგნობრივად და ნივთიერადაც. მოთამაშენი თითქმის ერთი მეორეს სჯობდნენ: ანა ჩირვაძე (წინანდელზე უკეთესად), ნ. გოცირიძე, ვ. ნინო — საუცხოვო იყვნენ. ვ. მინდიაშვილი (ირაკლი მარშანიძე) და გ. ჯავახური (ილ. მენაბდიშვილი) ახლა უფრო მოხდენილად ასრულებდნენ ნაკისრ როლებს. ს. ანკარა (ტასო) ხონელი (რობ. ალოღე), მატარაძის (თამარი) მ. ქიკურიელი (სოსო) და მ. რომანიშვილისა დედა) სრული შეგნებით თამაშობდნენ. მსახიობთა — პიერეტისი და ი. ხარაღიშვილის მონაწილეობამ წარმოდგენის ცოცხლად ჩატარებას ძლიერ ხელი შეუწყო. ხალხი ბევრი დაესწრო და წესიერბადაც არ დაბრუნებულა. პიესა დაიდგა კ. შათირიშვილის რეჟისორობით.



წერილი რედაქციის მიმართ

(თეატრი და სპორტებას“)

ერთი შენიშვნა. გძელი მოზოლოგები ძველი ნაშრომი და მით უმეტეს მოზოლოგის ხალხის მიმართ ლაპარაკი, შეუწყნარებელია. მსახიობთ დაივიწყონ, რომ პარტერში ხალხი არსებობს და იცოდნენ, რომ იგინი ცხოვრების რომელსავე მხარეს ანსახიერებენ, საკუთარი ფიქტორი და მისწრაფება-მდგომარეობით.

შსპანრო

ავსტრიის სახალხო თეატრი კვირას, 2 ნოემბერს ავლ. ქართ. სახ წარმ. მმარ. წინის მიერ ივანიძის რეჟისორობით წარმოდგენილ იქმნა სამხედრო ბანაჟში“. თუცა პიესა შინაარსიანია და კარგი საყურებელიც, მაინც, ჩვენის აზრით, ორიგინალურ რეჟურტურას რომ მიაქცევდენ ყურადღებას—უმჯობესია. ხსენებულ წარმოდგენაში ხელფარულთ თამაშობდენ ბ. ივანიძე (ვახუშტი), ქ. მარგველაშვილი (კლარა), რ. სალაყაია (კვიციანი), სულთანიშვილი (ფონ-ლუენი) და მ. ჯიბლაძე (ფონ-გეენ). კარგად და შეგნებით თამაშობდა თავდგირიძე (გელთასი), მაკარა სამხედრო იერი ავლა. მუხრანე თეატრისაკი მიაქციოს ყურადღება. რეჟისორი თვისი როლის უცოდინარობით ბევრი ზიანი მისცა წარმოდგენას, იცოდნენ, რომ როლის უცოდინარად სცენის მოყვარის თამაშში—დანაშაულობდა. დანარჩენი ხელს უწყობდენ შეთანხმებულ თამაშს. საჭიროა, მეტი ყურადღება მიექცეს ტანისამოსების ჩაცმას და სახის ხატვას. აგრედვე უნდა იცოდნენ, რომ კულისებში წარმარა სიარული დაწითი ხელუბის გამოჩენა შთაბეჭდილებას არღვევს.

ხალხი ბევრი დაესწრო, რაც გამეობას ჯილდოდ უნდა ჩათვალოს; უფრო რჩეული საზოგადოება იყო, მაგრამ წესიერება მაინც ირღვეოდა. შიგადა შიგა წამოხახილი არ შეტყფირის თეატრს, და კარგი იქნება თვით ხალხმევე დაიცვას წესიერება.

თეატრი გამთბარი იყო და უკეთ განათებული, რისთვისაც გამგებმა მადლობის ღირსია

— პირი

ავსტრიის აუდიტორია. შაბათს, პირველ ნოემბერს ავტალის აუდიტორიაში, წელს პირველად გამართეს ქართული წარმოდგენა დადგეს „არსენა“ აღსანიშნავია ის სიყვარული თეატრისადმი, რომელიც აშკარად ეტყობათ სცენის მოყვარეთ. დარწმუნებული ვართ, შემდგომი უფრო მეტადად მოექცევიან სცენის მოყვარნი თავის საქმეს, უუქველად დასძლვედნ ნაკლს, რომელიც წარსულ წარმორგენის დროს ჰქონდათ. საჭიროა ამ აუდიტორიაში იმართებოდეს ხოლმე ქართული წარმოდგენები. მით უმეტეს რომ, სახალხო თეატრს პირველად აქ ჩაყარა საძირკველი, და ხალხიც ბლომად დაესწრება.

მეტად ნასიამოვნები დიერჩით ვ. ლაშქარაშვილი-საგან, რომელმაც ხალხს წარმოდგენის ბოლოში განუმარტა ის დრო, რომლიდანაც აღებულია „არსენა“ მან აუხსნა ბატონ-ყმობის სიმაკაცე და ის, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვით მის გადადგებაში ილია ქავჭავაძეს დაივიღ კონქაძეს და სხვებს.

აუდიტორიაში ბევრი ხალხი იყო. **დამსწერი**

ცნობა; ვითომ მე გადაშედას თეატრის საღამოშენებლად თანხისთვის „სამახინჯისა ჭონარანი, სავსებით ვერ უდრის ჩემს სურფაქს, რომელიც მე კარგა სხინა შეკეთად განუგებდა დრამატული საზოგადოების გამგეობას.

გამგეობას ვსთხიბუე თიხვას, მთავარნი და ეგვლეჯს—თბაქისში თუ შრომინტეებში,—სადეკტი ჩემი ზეკსები (ყველა და არა მხოლოდასი-მსხინჯჟჟ“) დაიდგმის, გადახდევობას, რამდენსაჟკე— თუ შესაძლებლად დაინახვს, საღამოშენებლად თანხისთვის

საინტერესოა იქნება, დრო-გამოშეკებით აინობონ საზოგადოებას, თუ რა იქნება გაკეთებული ამ მხრივ. **ნ. შიუჟაშვილი**

წერილი ამაგებში

— **ღამ. საზ. გამგეობას** სრული ნდობა გამოუცხადა ღრამ. საზ. წლიურმა კრებამ, რადგან ზოგიერთ წვეთს მოითხოვეს ვამგეობის გ დადგომა.

— **ქ. მოსხვარაშვილის სასულიარო კონცერტი** გამართება 23 ნოემბერს „პარტისტ. საზ. თეატრში“. გუნდი შესდგება 200 ქალ-ვაჟისაგან. ამ კონცერტზე, სავთა შორის, შესრულებული იქნება დავით აღმაშენებლის იამბიკო (კვინტეტი ქ. ფოცხვერაშვილისა).

— **ღალბი“ მსახიობთა ამხანაგოების** მიერ წარმოდგენილი იქნება ხვალ, 10 ნოემბერს, სახალხო სახლში.

— **ანება კახანაძისამ** შეტყობა ხალხური შემოქმედებანი (ლექსები, გადმოცემანი, თქმულებანი, გამოცანები, ზღაპრები და სხ.) ლექსი—293, გამოცანა—33, თქმულება—29 და სხ. რომლის ხელნაწერი ჩვენს რედაქციას გადმოსცა. ამ ნაშრომს დრო გამოვევით დაბეჭდვად თურნალში.

ახალი პიზნის, ვანო გიგოშვილის „შურისძიების“, წარმოდგენის ნება დართო მეფის მთადილის სამართელს.

— **მსახიობი ვალ. მონია** გასულ კვირას ქუთაისიდან თბილისს ჩამოვიდა სათეატრო საქმეზე და სამშაბათსვე გაბრუნდა.

— **ივ. პოლემოგლინი** გადასწყვიტა თვის მიერ თბილისში იხსენის პიესა „ხალხის მტერი ანუ ექიმი შტოკმანი“ ცალკე წიგნად გამოაცემინოს, რომლის წმინდა შემოსავალი ქართულ თეატრის აღსადგენ თანხას მიემგებება.

— **ბა. იხიანლოვნი**, როგორც უწყიან, რამდენიმე ხნის წინად, რუსული წარმოდგენის დროს დაიწვა ავდიტორიი რეჟისორ-გზის კლუბი, რომელიც მოთავსებული იყო მშენიერი. სცენა დეკორაციებით. ამ ეპიზოდ აღძრობილია შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე კრედიტის გახსნის შესახებ ამ შენობის ხელ-ახლად ასაგებად უფრო კარგ გვემაზე.